



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის -
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

- | | |
|-------------------|---|
| მაკა კაჭკაჭიშვილი | - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი |
| ნათია დარსაძე | - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| ბექა კვაჭაძე | - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| მაია ქუთათელაძე | - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი |
| მადონა ბობოხიძე | - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი |
| თეა ღვინიაძე | - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი |
| ირინე ჯანაშია | - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი |
| ნინო გორგილაძე | - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი |
| ლია ნეფარიძე | - სპორტის საგნობრივი ექსპერტი |
| ლელა მანგოშვილი | - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური |



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225065210

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბაღდათი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ზეგანი
საფოსტო ინდექსი	1000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Zegani2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 999 755

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 24 0000627712, 06.06. 2024 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01 და 02 ივლისი, 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელი ზეგანი. შენობა-ნაგებობების რაოდენობა; 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელი ზეგანი, შენობა-ნაგებობების რაოდენობა; 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 06 ივნისის MES 6 24 0000627712 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2024 წლის 01 და 02 ივლისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლაში. (მისამართი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი.)

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, (ბრძანება N 2-43, 28.06.2023 წ.) რომელთანაც ექსპერტებს გვქონდა კომუნიკაცია და სამიქმიანი ურთიერთობა. აღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი ვიზიტის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, კათედრის წევრებთან. დაწყებითების საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად ინდივიდუალურ რეჟიმში გაესაუბრა შესაბამისი კათედრის წევრებს და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს. გაცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ასახულია შესაბამისობის რჩევების გრაფაში.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 50	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლას უდასტურდება 35 ერთეული მერხი და სკამი. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას ორი ცვლის პირობებში.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილი

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილი

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების უზრუნველყოფა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (07.03.2024 წ. - 07.03.2025 წ.)

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.



	უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი - 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შემუშავება, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შემუშავება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.09.2024 - 16.09.2024)
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (22.04.2024 წ.- 22.04.2026 წ.) სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შემოსასვლელ კიბეებთან მოწყობილი პანდუსი საჭიროებს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში შესრულება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	---	--



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნების რაოდენობა აღემატება შესაძლებლობას სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში მოესწროს ყველა მოცემული შუალედური მიზნის განხორციელება და მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) შემოთავაზებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მასში არ ჩანს შუელედურ მიზანთან მიმართებით როგორ ფასდება მოსწავლე და ფასდება თუ არა საერთოდ. წარმოდგენილი არ არის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.
2.2.1.1. ინდიკატორი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნების რაოდენობა აღემატება ინტერვიუს დროს გამოკვეთილ ჩატარებულ რაოდენობას და ასევე, სკოლის შესაძლებლობას. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.



2.2.1.3. ინდიკატორი	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) შემოთავაზებულ განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში არ ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები შუალედურ მიზანთან მიმართებით. წარმოდგენილი არ არის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.
2.2.2.4. ინდიკატორი	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (ტექნოლოგიები) სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის ადამიანური რესურსი, რომელიც არის უცხოენის პედაგოგი. არ აქვს ჩაბარებული სასერთიფიკატო გამოცდა ტექნოლოგიებში, თუმცა გავლილი აქვს კერძო სასწავლო ცენტრში კომპიუტერული პროგრამების კურსი. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.1.2.2. ინდიკატორი	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნების რაოდენობა აღემატება შესაძლებლობას სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში მოესწროს ყველა მოცემული შუალედური მიზნის განხორციელება და მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევა.



2.1.2.3. ინდიკატორი	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (03.07.2024 - 03.07.2025) (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორიას აქვს ცეცხლგამძლე მაგიდა, სხვადასხვა ქიმიური რეაქტივების შესანახი კარადა, ქიმიური ჭურჭელი, მოსწავლეთა მიერ დამზადებული კომპლექსური დავალების პროდუქტები, რომელსაც იყენებენ თვალსაჩინოებად, თუმცა არ არის გაყვანილი ონკანი, არ აქვთ გამწოვი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიითაც. მაგრამ აუცილებელია, რომ სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიის აღჭურვა ყველა საჭირო რესურსით და გაყვანილი იქნას წყლის მიწოდების სისტემა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში გამწოვი კარადის დამონტაჟება.
2.1.2.5. ინდიკატორი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (ესთეტიკური აღზრდა) სკოლას არა აქვს განსაზღვრულ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის. რუბრიკების შექმნის დროს კი დაეყრდნოს გრძელვადიან მიზნებსა და საფეხურის შედეგებს. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში გამწოვი კარადის დამონტაჟება.
2.2.1.1. ინდიკატორი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების

		აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (01.09.2024 - 16.09.2024 წ.) (უცხო ენები) კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნების რაოდენობა აღემატება ინტერვიუს დროს გამოკვეთილ ჩატარებულ რაოდენობას და ასევე, სკოლის შესაძლებლობას. საჭიროა სკოლამ დაგეგმოს კურიკულუმი.დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში გამწოვი კარადის დამონაწევა.
2.2.2.1. ინდიკატორი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (03.07.2024 - 03.07.2025) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა და არ არის შეყვანილი წყალი. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში გამწოვი კარადის დამონაწევა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია 2024 წლის 26. 02 რიცხვით შექმნილი (ბრძანება N 2-11) სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის მისიის/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი ტექსტი, რომელიც დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების გეგმაში არის მითითებული, ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რათა



		ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს სკოლის მისიისა და ხედვის ამსახველი ერთი და იგივე ნარატიული ტექსტი
ინდიკატორი N 1.1 1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლას მიეცა რჩევა , რომ სკოლის ფილოსოფიის - მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები სასურველია გამოიკრას სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა მცირეკონტიგენტიანი სკოლის მშობლებმა, მოსწავლეებმა შეძლონ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება.
ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რჩევა , რომ სასურველია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაასწოროს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ეტაპები და შესაბამის ბრძანებებიც მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ თანმიმდევრობებთან შესაბამისობაში.
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რჩევა , რომ სასურველია სტრატეგიული განვითარების მიზნებთან თავსებადი ამოცანები, ეტაპები განსაზღვროს სასწავლო სასკოლო გეგმაში. ამასთანავე, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი ახდენს სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული დოკუმენტის რევიზია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში არ დასტურდება აღნიშნული ჯგუფის არსებობა. ინტერვიუს დროს სკოლამ განმარტა, რომ სკოლას არ ყავს აღნიშნული ჯგუფი. სკოლას მიეცა რჩევა , რომ სასურველია მკაფიოდ განსაზღვროს, თუ როგორ აწარმოებს სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას	სკოლას მიეცა რჩევა , რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში მოიყვანოს შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმასთან, გაითვალისწინოს ყოველწლიური თვითშეფასება და გამოკვეთოს კონკრეტული საჭიროებები, რომელსაც ასახავს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.



	და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ასახოს იდენტიფიცირებული გამოწვევები, შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან და გაწეროს კონკრეტული ეტაპები/ განხორციელების ვადები აკადემიური წელიწადის მანძილზე.
ინდიკატორი 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.
სტანდარტი N 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლის მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ სამტატო ნუსხაში და თანამშრომელთა საქმიანობების აღწერილობებში მითითებული იყო ბიბლიოთეკარის პოზიცია, თუმცა ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლას შტატით არა აქვს განსაზღვრული ბიბლიოთეკარის პოზიცია. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხიდან ამოიღოს ბიბლიოთეკარის პოზიცია.



		• ვიზიტის დროს ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ცეცხლფარეშის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ასრულებენ სკოლაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პიროვნებები; დარაჯი, საქმისმწარმოებელი, დაწყებითების პედაგოგი, სპორტის პედაგოგი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ აღნიშნულ პიროვნებებთან გარდა სიტყვიერი შეთანხმებისა, ბრძანებით დადასტურდეს კონკრეტული ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები.
ინდიკატორი <i>N 3.1.1.2.</i>	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა , სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - თანამშრომელთა საქმიანობის აღმწერი ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაში მოიყვანოს თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან. სკოლას ასევე მიეცა რჩევა , რომ ექთნის თანამდებობრივი საქმიანობის აღმწერი ფუნქციებიდან ამოიღოს კონკრეტული ჩანართი, რომლითაც ექთანს ევალება მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური დარღვევების დადგენა.
ინდიკატორი <i>N 3.1.2.2.</i>	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაადგინოს სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულ ყველა პოზიციის მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.
ინდიკატორი <i>N 3.1.2.4.</i>	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლაში დასაქმებულია მუსიკის და ისტ-ის პედაგოგი , რომლებსაც არა აქვთ დადასტურებული შესაბამისი კომპეტენცია. მიმდინარე ხელშეკრულება დადებულია კანონთან შესაბამისობაში და გაფორმებულია დროებით - ვაკანსიის გამოცხადებამდე. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე. სკოლას მიეცა რჩევა , სწავლის დაწყებამდე გამოაცხადოს ვაკანსია კანონის დაცვით და ვაკანტურ ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიდან გააფორმოს ვადიანი



		ხელშეკრულება სკოლაში დასაქმებულ პირებთან. (2024-2025 სასწავლო წელი)
ინდიკატორი N 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ იხელმძღვანელოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება N 2-19, 07.03.2024 წ.) დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ და შექმნას ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.....	მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორი N 3.4.1.7.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ დაარქივებული და პერსონალური ინფორმაციის შემცველი მასალები შეინახოს დაცულ სივრცეში ისე, რომ იკეტებოდეს კარადები და დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელი იყოს მხოლოდ დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას.
ინდიკატორი N 3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებელთან გააფორმოს წერილობითი შეთანხმება, რათა ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები გაიწეროს შესაბამისი წესის საფუძველზე. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ შეიმუშავოს აღნიშნული დოკუმენტი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო დრო გამოაკრას შესაბამის ადგილზე.



		ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლას მიეცა რჩევა - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.
ინდიკატორი N 3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სკოლას მიეცა რჩევა , რომ ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოსწავლეებს <u>საშუალება მიეცეთ ტექნოლოგიებით სარგებლობის, დაიდგას შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსი</u> , რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეეძლებათ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. სკოლას ასევე მიეცა რჩევა , რომ განსაზღვროს ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში ციფრულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N. 4. 2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლას მიეცა რჩევა , გააფორმოს მემორანდუმი სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებთან, რათა გაზარდოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	(ესთეტიკური აღზრდა)სასურველია, პედაგოგმა ზუსტად დაიტანოს ინფორმაცია კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში. მაგ.: მე-5 კლასის მუსიკის კურიკულუმში. საკითხი შეცდომით წერია კომპლექსური დავალების იდეის გრაფაში. I კლასის ხელოვნების კურიკულუმის მე-3 თემაში კომპლექსური დავალების პირობა შეტანილია



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	კონტექსტ მაგალითის გრაფაში, რესურსები და საკითხი კი პირიქით, კომპლექსური დავალების იდეის გრაფაში. აგრეთვე, გასწორდეს პირველი კლასის პირველი თემის საკითხის ფორმულირება.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	(მათემატიკა) სასურველია, შედგაგეგმვა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III კლასის კურიკულუმი. კერძოდ, მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	(საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) საგან „ჩვენი საქართველო“-ს V და VI კლასის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, სასურველია, შევსებული იყოს ასევე ძირითადი კონტექსტს მაგალითის და მაგალითები შედარებისათვის განკუთვნილი გრაფებიც. ეს კომპონენტები მნიშვნელოვანია და კარგი იქნება გაიწეროს აღნიშნულ დოკუმენტებშიც.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	(სახელმწიფო ენა)სასურველია, I-IV კლასების კურიკულუმები გაიწეროს შესაბამის ჩარჩოში.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	(უცხო ენები) სასურველია, რომ კურიკულუმში მოცემული იყოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. მკაფიო იყოს შუალედური მიზნები, თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ასევე, პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III, IV კლასის კურიკულუმები. კერძოდ, მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) - საგან „მე და საზოგადოების“ IV კლასის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმში, კომპლექსური დავალების იდეის გრაფაში შემოქმედებით პროდუქტად მოაზრებულია მკითხველთა კლუბის შექმნა. სასურველი იქნებოდა შემოქმედებით პროდუქტად უფრო მატერიალური სახის პროდუქტი ყოფილიყო მოაზრებული.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	(სახელმწიფო ენა) სასურველია, I-IV კლასების კურიკულუმები შეივსოს რესურსებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	(სპორტი) სასურველია მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმებში შუალედური მიზნის მისაღწევად შეიქმნას მეტი შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენა (ინგლისური, რუსული) - სასურველია, რომ კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს მოცემული შუალედურის მიზნის (კომპლექსური დავალების) საკითხი.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენა (ინგლისური, რუსული) კურიკულუმში ზოგიერთ შემთხვევაში არ იკითხება შუალედური მიზნების პირობა, სასურველია, უფრო მკაფიოდ ჩანდეს რა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელება უწევთ მოსწავლეებს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - სასურველია, რომ მათემატიკის III კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას დავალების და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა). კურიკულუმში რესურსად მხოლოდ სახელმძღვანელოა დასახელებული.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) - საგან „მე და საზოგადოების“ III კლასის კურიკულუმში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელოდან თემატური პარაგრაფები. სასურველი იქნებოდა, რესურსების მეტად გამრავალფეროვნება, როგორც ესაა იმავე საგნის IV კლასის კურიკულუმის ნიმუშში.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	სპორტი - სასურველია კურიკულუმში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ჰიპერლინკები იყოს აქტიური.



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) - სასურველია, პედაგოგმა შექმნას განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის. რუბრიკების შექმნის დროს კი დაეყრდნოს გრძელვადიან მიზნებსა და საფეხურის შედეგებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სპორტი - სასურველია სპორტის დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკების შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები, ხოლო შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობდეს თითოეული თემის სამიზნე ცნებისა და ქვეცნებებისგან.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შევსებული იქნას სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III, IV კლასის კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაიწეროს თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები გახდეს უფრო მრავალფეროვანი.



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) - სკოლის მცირეკონტიგენტიანი სფეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, ზოგადი შეფასების რუბრიკის ნაცვლად, კონკრეტული საკითხების შეფასებაზე ორიენტირებული რუბრიკების წარმოდგენა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) - სასურველია, რომ საგან გეოგრაფიის მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები დაიხვეწოს ტექნიკური თვალსაზრისით.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხო ენა (ინგლისური, რუსული) - სასურველია, რომ კურიკულუმში მოცემული იყოს ყველა აუცილებელი კომპონენტი. მკაფიო იყოს შუალედური მიზნები, თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) - სასურველია, რომ მეშვიდე კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში მიეთითოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ხუთივე სავალდებულო სასწავლო თემა. VIII კლასში კი სამიზნე ცნებები განისაზღვროს სწორად.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) - ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში პეაგოგს გამორჩა თემატური ბლოკები. ასევე არეულად არის შეტანილი ზოგი ინფორმაცია. მაგ: მე-8 კლ. ხელოვნების კურიკულუმში, მე-



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	2 თემის გრაფაში, თემის ნაცვლად პედაგოგს აქვს მითითებული თემატური ბლოკის დასახელება. ვურჩევ პედაგოგს, გაითვალისწინოს და ზუსტად დაიტანოს ინფორმაცია კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში. იმავეს ვიტყვით მე-7 კლასის მუსიკის კურიკულუმზე. პირველი თემის მესამე საკითხი - ბუნებრივი და მექანიკური ჟღერადობის შინაარსობრივი დატვირთვა - შეცდომით არის ჩაწერილი კონტექსტ მაგალითის გრაფაში, ხოლო მე-9 კლასის მე-3 თემის კონტექსტ მაგალითის გრაფაში წერია საკითხები. სასურველია, პედაგოგმა ზუსტად დაიტანოს ინფორმაცია კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში. მაგ.: მე-8 კლასის ხელოვნების კურიკულუმში, მე-2 თემის ფარგლებში, თემის გრაფაში თემა მიუთითოს, თემატური ბლოკის სახელწოდება კი თემატური ბლოკისთვის განკუთვნილ გრაფაში. ასევე, სასურველია პედაგოგმა ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში მიუთითოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი. ასევე, მე-7 კლასის მუსიკის კურიკულუმში. პირველი თემის მესამე საკითხი - „ბუნებრივი და მექანიკური ჟღერადობის შინაარსობრივი დატვირთვა“ - ნაცვლად კონტექსტ მაგალითის გრაფისა, ჩაწეროს საკითხის გრაფაში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხო ენა (ინგლისური, რუსული) - სასურველია, რომ სკოლის კურიკულიუმებში მკაფიოდ იყოს მოცემული შუალედური მიზნის (კომპლექსური დავალების) საკითხი.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხო ენები - კურიკულუმში ზოგიერთ შემთხვევაში არ იკითხება შუალედური მიზნების პირობა, სასურველია, უფრო მკაფიოდ ჩანდეს რა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელება უწევთ მოსწავლეებს.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) - სასურველია პედაგოგმა შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის განსაზღვრად ისარგებლოს ეროვნული სასწავლო გეგმით, და დააკორექტიროს მე-7, 8, 9 კლასების შემაჯამებელი დავალების რაოდენობა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) - საგან მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული მასალა. სასურველია, რესურსების მეტად გამრავალფეროვნება. სასურველია, რომ დაკონკრეტდეს მოქალაქეობის IX, ისტორიის VII და VIII კლასის კურიკულუმებში რესურსად მითითებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა და კონკრეტულად, რა მასალებია მოაზრებული დამხმარე რესურსებად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სპორტი - სასურველია კურიკულუმში განსაზღვრული სასწავლო რესურსი ჰიპერლინკები იყოს აქტიური.
ინდიკატორი 2.1.2.4	1. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხო ენა (ინგლისური, რუსული) - სსსმ მოსწავლესთან მიმართებით არ ჩანს მკაფიოდ მოსწავლის შედეგი და ამ შედეგის შეფასება. სასურველია, ამ კუთხით კურიკულუმში გაჩნდეს შესაბამისი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით	სპორტი - სასურველია, რომ შეფასების რუბრიკების შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები, ხოლო შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობდეს თითოეული თემის სამიზნე ცნებისა და ქვეცნებებისგან.



	განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	
ინდიკატორი 2.2.1.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) - სკოლის მცირეკონტიგენტიანი სფეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, ზოგადი შეფასების რუბრიკის ნაცვლად, კონკრეტულ საკითხების შეფასებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების წარმოდგენა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც - „მეტწილად შესაბამისი“ (მე-3 სტანდარტი, ინდიკატორი - 3.4.1.2. ინდიკატორი 3.5.1.4. მე-2 სტანდარტი, დაწყებითი საფეხური, ინდიკატორი - 2.1.2.2. ინდიკატორი 2.1.2.5. ინდიკატორი 2.2.1.3. ინდიკატორი - 2.2.2.4. მე-2 სტანდარტი, საბაზო საფეხური - 2.1.2.2. ინდიკატორი 2.1.2.3. ინდიკატორი 2.1.2.5. ინდიკატორი 2.2.1.1. ინდიკატორი 2.2.2.1.) ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი



მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე - 03.07.2025) მიხედვით. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა (N 004565424, 15. 07. 2024 წელი.) შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და გამომდინარეობს თემის, საზოგადოების სპეციფიკიდან. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც 2024 წლის 29.02 თარიღდება. (სამეურვე საბჭოს ოქმი N 6) 2024 წლის 26. 02 რიცხვით არის შექმნილი (ბრძანება N 2-11) სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შექმნას მრავალფეროვანი კულტურის, თანამშრომლობითი და უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელშიც აღზრდის დამოუკიდებელ, განათლებულ, ინტელექტუალურ, ციფრული კომპეტენციების მქონე კანონმორჩილი მოქალაქეებს. სკოლის მისიით განსაზღვრული აქვს, რომ 2030 წლისთვის იქნება წარმატებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულება. სკოლის მისია და ხედვა გულისხმობს დაწყებით და საბაზო საფეხურზე უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული, დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და ზოგადსაკაცობრიო და პატრიოტული იდეების მქონე, ოჯახისა და საზოგადოებისადმი პატივისცემით განმსჭვავებული, განათლებული და ჰუმანური იდეებით აღსავსე, სოციალურად და შემოქმედებითად აქტიური მოქალაქის აღზრდას, რაც გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. აღნიშნული საკითხები ასევე წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც თარიღდება

2023 წლის 01 სექტემბრით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც 2023 წლის 01 სექტემბერს შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (№ 1) და დამტკიცებულია 2023 წლის 04 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ორი განსხვავებული მისიისა და ხედვის ტექსტების ნარატივი დგინდება. სკოლას მიეცა რჩევა, რომ 2024 წლის 26. 02 რიცხვით შექმნილი (ბრძანება N 2-11) სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის მისიის/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი ტექსტი, რომელიც დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმაში არის მითითებული ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;

სკოლა თავის მისიისა და ხედვაში აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სასკოლო საზოგადოებას შეუქმნას ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პრაქტიკული შესაძლებლობების სრულყოფილი გამოვლენის სივრცე, ამისათვის სკოლას გაწერილი გვაქვს სკოლის ძირითადი ღირებულებები, როგორიცაა: სამართლიანობა, მონაწილეობითი მართვა, ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა, უსაფრთხო და ეფექტური ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების განკარგვა, ისევე როგორც უზრუნველყოფილია ჯანსაღი სასწავლო და სამუშაო პირობები, სადაც დაცულია ეთიკის ნორმები და შინაგანაწესი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის და სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამ გამოკითხა სასკოლო საზოგადოება, არსებული გამოწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება და სასკოლო კურიკულუმით მისი დამტკიცება. (პედ. საბჭოს სხდომის ოქმი N 6, 26. 02. 2024 წ.) წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო კვლევა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დასტურდება, რომ პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევა და შედეგების ანალიზი. სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო არხები; სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ბლოგები. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სკოლის დირექტორის განმარტებით მოხდა ზემოპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით. სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების ბეჭდური მასალები არ არის გამოკრული სკოლის შენობაში. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ სკოლის ფილოსოფიის - მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები სასურველია გამოიკრას სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა მცირეკონტიგენტიანი სკოლის მშობლებმა, მოსწავლეებმა შეძლონ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლა“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N6 სკოლის სტრატეგიული გეგმა 7 წლიანი
2. დანართი N7 სკოლის სამოქმედო გეგმა
3. დანართი N9 შინაგანაწესი
4. დანართი N8 სასკოლო სასწავლო გეგმა
5. დანართი N5 სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის დოკუმენტი (ბრძანება N2-11 2024წ.)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია; სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი); სამეურვეო საბჭო, თემი. ამავე მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ა. თანამონაწილეობა; ბ. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას; გ. გამჭვირვალობა; დ. ანგარიშვალდებულება. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ 2024 წლის 26.02 რიცხვით არის შექმნილი (ბრძანება N 2-11) სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც უნდა შეიმუშავოს სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა, ღირებულებები - ასევე სასკოლო კურიკულუმები. ხოლო 2024 წლის 27.02. -ით თარიღდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაასწოროს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ეტაპები და შესაბამის ბრძანებებიც მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ თანმიმდევრობებთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამება“.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს ოქმით N 6 - 2024 წლის 29.02. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიზნის მისაღწევს გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით ხდება საჭიროებების გამოვლენა. სკოლის განვითარების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით

დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა შექმნილი და დამტკიცებულია 2024 წლის 29 თებერვალში, ხოლო სკოლის სასწავლო გეგმა დამტკიცებულია 2023 წელს, სტრატეგიული განვითარების მიზნები არ არის ასახული სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია სტრატეგიული განვითარების მიზნებთან თავსებადი ამოცანები, ეტაპები განსაზღვროს სასწავლო სასკოლო გეგმაში. ამასთანავე, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი ახდენს სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული დოკუმენტის რევიზია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში არ დასტურდება აღნიშნული ჯგუფის არსებობა. ინტერვიუს დროს სკოლამ განმარტა, რომ სკოლას არ ყავს აღნიშნული ჯგუფი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია მკაფიოდ განსაზღვროს, თუ როგორ აწარმოებს სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ ვიზიტის დროს (2024 წლის 01 – 02 ივლისს) მტკიცებულებად წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, (2024 – 2025 სასწავლო წელი) რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის თებერვალში. გამომდინარე იქედან, რომ 2023 – 2024 წლის სასწავლო სასკოლო გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის სექტემბერში, ხოლო სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2024 წლის თებერვალში, ერთწლიან გეგმა არ ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში მოიყვანოს შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმასთან, გაითვალისწინოს ყოველწლიური თვითშეფასება და გამოკვეთოს კონკრეტული საჭიროებები, რომელსაც ასახავს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლას სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი აქვს ცხრილის ფორმით. ამოცანები და ძირითადი ქმედითი ღონისძიებები დაფუძნებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებზე და გამომდინარეობს სკოლის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან. გამომდინარე იქედან, რომ სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაამტკიცა 2024 წლის თებერვალში, განსაზღვრული აქტივობების ვადები არ ემთხვევა ერთწლიან აკადემიურ პერიოდს და წარმოდგენილი ვადები და ინდიკატორები არარელევანტურია. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ასახოს იდენტიფიცირებული გამოწვევები, შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან და გაწეროს კონკრეტული ეტაპები/ განხორციელების ვადები აკადემიური წელიწადის მანძილზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N10 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. დანართი N11 ოქმი სტრატეგიული დაგეგმარების შესახებ
3. დანართი N12 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის შესახებ
4. დანართი N7 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ: სკოლაში სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ახორციელებს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. მეთოდოლოგიის შესაბამისა, სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის საფუძველზე. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების განხორციელების საჯაროობა, კერძოდ: ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N11 სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმი N1
2. დანართი N10 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცი-მოვალეობების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (ბრძანება N2-06 30.01.2024 წ). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი; სკოლაში შემდეგი სტრუქტურული

ერთულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში მითითებული იყო ბიბლიოთეკარის პოზიცია, თუმცა სკოლის შტატით არა აქვს გათვალისწინებული ბიბლიოთეკარის პოზიცია. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხიდან ამოიღოს ბიბლიოთეკარის პოზიცია. არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან: სკოლის ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი. ვიზიტის დროს ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ცეცხლფარეშის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ასრულებენ სკოლაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პიროვნებები; დარაჯი, საქმისმწარმოებელი, დაწყებითების პედაგოგი, სპორტის პედაგოგი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ აღნიშნულ პიროვნებებთან გარდა სიტყვიერი შეთანხმებისა, ბრძანებით დადასტურდეს კონკრეტული ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები. სკოლაში დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, რომელიც თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს განსაზღვრავს (ბრძანება N 2-06. 30.01.2024 წელი) გამოიკვეთა, რომ ექთნის ფუნქცია მოვალეობებში გაწერილია ისეთი ფუნქცია-მოვალეობა, რომელიც არ არის სკოლის ექთნის პრეროგატივა. კერძოდ, ექთნის ფუნქცია მოვალეობებში წერია - (პუნქტი 8), „შეაფასოს მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარება და დროულად გამოავლინოს დარღვევები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.“ აღნიშნული ჩანაწერი არ იკითხება ექთანთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - თანამშრომელთა საქმიანობის აღმწერი ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაში მოიყვანოს თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან. სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ ექთნის თანამდებობრივი საქმიანობის აღმწერი ფუნქციებიდან ამოიღოს კონკრეტული ჩანართი, რადგან რადგან მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური დარღვევების დასადგენად არსებობს შესაბამისი სამსახური და შესაბამისი პროცედურები. ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 13 სტრუქტურული ერთეულების შესახებ
2. დანართი 14 დირექტორის დანიშვნის ბრძანება (2023წ.)
3. დანართი N15 ბრძანება დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი მ/შ პირის შესახებ (ბრძანება 1კ-15 2023წ.)
4. დანართი N16 ხარისხი უზრუნველყოფის მართვის მექანიზმი (ბრძანება 2-19 2024 წ.)
5. დანართი N17 10 დეკემბრის ანგარიში

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც, ადგენს შრომითი უფლებების პირობებს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა (ბრძანება №2-08, 31.01.2024 წ.) და სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძანება № 2-06, 30.01.2024 წ.) რომლითაც განსაზღვრულია სკოლის

სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლება-მოსილებები. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკას. ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლაში კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-08. 31.01.2024 - სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.) ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას. თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დოკუმენტურად არ არის დადგენილი სკოლაში დასაქმებული სხვა პირების (დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და სხვა) მიმართ. **სკოლას მიეცა რჩევა** საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაადგინოს სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულ ყველა პოზიციის მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე თანამშრომლების პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილია დასაქმებულები პირების ნასამართლეობის, სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ასევე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლას უფროს მასწავლებელთან გაფორმებული აქვს უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, ხოლო წამყვან მასწავლებელთან წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; (ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 4 წამყვანი და 9 უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი). სკოლაში ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია მუსიკის და ისტ-ის პედაგოგი, რომლებსაც არა აქვთ დადასტურებული შესაბამისი კომპეტენცია. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსზე არ გამოცხადდა სტატუსის მქონე პირი (ბრძანება N 2-17, 10,02, 2023) სკოლაში ვაკანტური პოზიციის შესავსებად. ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, იმდენად, რამდენადაც სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. პირადი საქმეების და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულებები დადებულია კანონთან შესაბამისობაში და გაფორმებულია დროებით - ვაკანსიის გამოცხადებამდე. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია შესაბამისი პოზიციაზე. სკოლას მიეცა რჩევა, სწავლის დაწყებამდე გამოაცხადოს ვაკანსია კანონის დაცვით და ვაკანტურ ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიდან გააფორმოს ვადიანი ხელშეკრულებები სკოლაში დასაქმებულ პირებთან. (2024-2025 სასწავლო წელი)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული

ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს. ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, კოლეგები ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, კეთდება ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი. სკოლაში შრომით რესურსებს მიეკუთვნებიან მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი, რომელთა შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. შენაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N 1კ-05 , რომლითაც დგინდება, რომ ერთჯერადი ფულადი წამახალისებელი პრემია გადაეცა სკოლის დამლაგებელს მის მიერ გაწეული საქმიანობისათვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N18 თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცება (ბრძანება N2-06 2024წ.)
2. დანართი N 19 პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტები (ბრძანება N2-08 2024წ.)
3. დანართი N 20 ქიმიის მასწავლებლის ვაკანსიის დოკუმენტები და ხელშეკრულება
4. დანართი N 21 ექთნის ვაკანსიის დოკუმენტები და ხელშეკრულება
5. დანართი N 22 წამყვანი და უფროსი მასწავლებლების ხელშეკრულებები
6. დანართი N 23 პერსონალის, მოსწავლის მშობლის უფლებათა დაცვა (ბრძანება N2-13)
7. დანართი N 24 კლუბის წესდება
8. დანართი N 25 თანამშრომელთა და მშობელთა თანხმობის ფორმები
9. დანართი N 26 დამლაგებლის ფინანსური წახალისების შესახებ (ბრძანება 1კ/05 2020წ.)
10. დანართი N16 ხარისხი უზრუნველყოფის მართვის მექანიზმი (ბრძანება 2-19 2024 წ.)
11. ვეისბუქ გვერდი <https://www.facebook.com/zegnis.skola>

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-19, 07.03.2024 წ. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. სკოლის მიერ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად: შეფასების პროცესის

ძირითადი ეტაპებია: (ა) დაგეგმვა; (ბ) თვითშეფასება; (გ) გასაუბრება; (დ) საბოლოო შეფასება, ხოლო პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: (ა) მოქნილობა; (ბ) სწავლის მხარდაჭერა; (გ) შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; (დ) პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; (დ) უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა გამოვლინებულ საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა პერსონალის განვითარებას ანხორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ პერსონალის საჭიროებებს განიხილავენ ინდივიდუალურად, პედაგოგებისაგან და სხვა თანამშრომლებისაგან ღებულობენ საჭიროებების შესახებ ინფორმაციას და გეგმავენ შესაბამის რელევანტურ ინტერვენციებს, აქტივობებს, რაც გამოიხატა კონკრეტული ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებით. სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ ხელს უწყობს პედაგოგთა კარიერულ ზრდასა და პერსონალის განვითარებას. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ ყველა პედაგოგი ჩართულია მათთვის საინტერესო პროფესიული განვითარების ხელისშემწყობ ტრენინგში. დირექტორის განმარტებით სკოლა სისტემატიურად ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის დირექციასთან პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, სადაც გაწერილია წახალისების ფორმები და სხვა, არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ პერსონალმა მიიღოს პოზიტიური სტიმული. მოტივაციის კრიტერიუმები არის გამჭვირვალე და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპებს. მოტივაციის ფაქტორებად განიხილება: პრემია, ჯილდო, შექება, საჯარო მადლობა, საჯაროდ ღვაწლის დაფასება, მადლობის წერილი და ა.შ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 27 საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-07 2024წ.)
2. დანართი N28 მოთხოვნები ახალი რესურსების შეძენის შესახებ
3. დანართი N29 ურთიერთ დასწრების ფორმა
4. დანართი N19 პერსონალის მართვის პოლიტიკა (ბრძანება N2-08 31.03.2024წ.)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, (ბრძანება N 2-19, 07.03.2024 წ. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ), რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის თანახმად, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ათვლის წერტილია დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია, რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით და სკოლის მისიის და მიზნების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც ანხორციელებს მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

თუმცა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ არ არის შექმნილი და დამტკიცებული აღნიშნული ჯგუფი. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ რეალურად იხელმძღვანელოს აღნიშნული დოკუმენტით და შექმნას ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები, შესაბამისად გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად, მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); საჭიროებების შემთხვევაში სკოლაში შეიქმნება სააპელაციო კომისია.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N23 მოსწავლის, პერსონალი, მშობლის უფლებების დაცვის შესახებ (ბრძანება N2-13 2024 წ.)
2. დანართი N30 სტრუქტურული ერთეულების გასაჩივრების და პროცედურების შესახებ (ბრძანება N2-14 2024წ.)
3. დანართი N31 მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (ბრძანება N2-24 2024წ.)
4. დანართი N32 დისციპლინური კომიტეტი
5. დანართი N33 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული პირის ბრძანება (ბრძანება N2-28 2020წ.)
6. დანართი N34 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-18 2024წ.)
7. დანართი N35 ვიდესათვალითვალო სისტემის შესყიდვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. ადმინისტრაციის განმარტებით, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით, ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებს ქმნიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფეისბუქ გვერდი <https://www.facebook.com/zegnis.skola>
2. დანართი N36 საინფორმაციო დაფის სურათები
3. დანართი N37 დამრიგებლის ოქმი N1
4. დანართი N12 სამეურვეო საბჭოს ოქმი N1
5. დანართი N38 პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზო. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული პიროვნება და სკოლის დარაჯები. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი 7 ვიდეო-სათვალითვალო სისტემით. ადმინისტრაციის განმარტებით, სასწავლო პროცესში სართულების მიხედვით განსაზღვრულია მორიგე მასწავლებლები, რომლებიც აკონტროლებენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მთლიანად შენობაში მოწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულებებისა და გასასვლელების მანიშნებელი მანათობელი. სკოლის მიერ წარმოდგენილია გაგზავნილი კორესპონდენცია შესაბამის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ (MES 4 24 00988099 - 2.04. 2024) და სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ მიწერილობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (MES 8 24 0000279757) შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადების მიზნით. დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები, ამ რისკის დადგომის ალბათობა და აქტივობის დადასტურებისათვის განსაზღვრა შესაბამისი ვადები. დასკვნის პროექტის მიღების შემდგომ დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა (N 004565424, 15. 07. 2024 წელი.) შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

სკოლას აქვს მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, MES 3 24 0000294557, 12.03.2024 წ. - საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო მართვის სამსახურთან.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ნაწარმოებია სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, ასევე არ არის ნაწარმოები სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

დაწესებულებამ გაასწორა აღნიშნულ ხარვეზი. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა (N 004565424, 15. 07. 2024 წელი.) შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „შეესაბამება.“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექთნის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას გაწერილი არა აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. არა აქვს შემუშავებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშავოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლითაც განსაზღვრული იქნება პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსაზღვრული იქნება პირველადი გადაუდებელი დახმარების პროტოკოლი გაზიარებული იყოს სკოლის საზოგადოებისათვის და გამოკრული იყოს ექთნის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას.

სკოლას აქვს შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი და უზრუნველყოფილია სკოლის ექთნის ხელმისაწვდომობა. კაბინეტი მდებარეობს პირველ სართულზე, რაც აადვილებს პირველადი დახმარების აღმოჩენას. თუმცა ექთნის კაბინეტში არ არის შეყვანილი წყალი, მნიშვნელოვანია, რომ ექთნის კაბინეტში დაცული იყოს ყველა საჭირო პირობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა.

(01.09.2024 - 16.09.2024)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. (ბრძანება -N 2-28, 16. 2020 წელი) სკოლის ბალანსზე ირიცხება დეტექტორი, სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ანხორციელებს მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ნივთები, რომლით სკოლაში გამოცხადება ან გამოყენება აკრძალულია. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლას არა აქვს შესაძლებლობა მოსწავლეებს მიაწოდოს ფსიქოლოგიური მომსახურება. ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დირექცია და სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი. სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან. დირექტორი არის რეფერირებაზე განსაზღვრული პირი და აქვს შესაძლების ტრენინგები გავლილი. სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების განმარტებით, გაკვეთილზე მოსწავლეს ღიად შეუძლია პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი, ასევე მიღწევების გაზიარება, რაც მხარდაჭერილია და არ შექმნის დისკრიმინაციისა და გარიყვის საფუძველს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი, რომელიც საქმიანობას აწარმოებს ზამთარში დაზარალებული ბრძანებით დადგენილ შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო კაბინეტში. ვიზიტის პერიოდში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მედიკამენტების ვარგისიანობა, რომელიც წესრიგში იყო, სკოლაში წარმოებს ავადობის მონაცემების რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილი ფორმების მიხედვით.

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამოიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. ვიზიტის დროს სანიტარული კვანძები არ იყო უზრუნველყოფილი წყლის მიწოდებით. სველ წერტილებში დაფიქსირდა ხარვეზი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული პრობლემა მოგვარდა ვიზიტის პროცესშივე. სანიტარული კვანძები ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას კანონმდებლობითი დადგენილი წესით. შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც უფლება აქვს ინფორმაცია გასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონფიდენციალობის დაცვით. ყველა მოსწავლეს და მშობელს აქვს პირადი

ელექტრონული ფოსტები, სადაც შეუძლიათ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას მოძიება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის მხრიდან ხდება ამ ინფორმაციის პირადად და არა საჯაროდ გაცნობა.
ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება, თუმცა არ ინახება ინახება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, რომელიც იკეტება გასაღებით. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ დაარქივებული და პერსონალური ინფორმაციის შემცველი მასალები შეინახოს დაცულ სივრცეში ისე, რომ იკეტებოდეს და დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელი იყოს მხოლოდ დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას.** სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N39 წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ
2. დანართი N40 წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ
3. დანართი N41 წერილი შენობის მდგრადობის შესახებ
4. დანართი N42 სახანძრო სტენდის სურათი
5. დანართი N43 ექთნის კაბინეტის სურათი
6. დანართი N44 დეტექტორის სურათი
7. დანართი N45 ექთნის ანგარიში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ
8. დანართი N46 ხელშეკრულება მეეზოვესთან
9. დანართი N47 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დოკუმენტი (ბრძანება N2-20 2024წ.)
10. დანართი N48 პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი (ბრძანება N2-21 2024წ.)
11. დანართი N49 სკოლის მშობელთან ან/და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან , ასევე მათ მიერ უფლებამოსილ შესაბამისი პირთან კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N2-10 2021წ.)
12. დანართი N50 ხელშეკრულებები მშობლებთან
13. დანართი N51 უსაფრთხოებაზე პუსიხისმგებელი პირის დოკუმენტი (ბრძანება N2-28 2020წ.)
14. დანართი N52 ადანიანების და პროცესების უსაფრთხოება (ბრძანება N2-22 2024წ.)
15. დანართი N53 ბრძანება რეფერირების შესახებ (N2-42 2016წ.)
17. ბრძანება N 2-42, 25.11.2016 წ. ბავშვთა დაცვის, რეფერირების პროცედურაზების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სკოლის დირექტორი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (N 892023409805. მომზადების თარიღი - 02.04.2024 წ.) რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ორსართულიანი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია 30.15.37.016 . ხოლო დაზუსტებული ფართობი 3324 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1/2 - საერთო სასარგებლო ფართობი - 717 კვ.მ. №02/1 - საერთო სასარგებლო ფართობი 24 კვ.მ. №3/1 საერთო სასარგებლო ფართობი 24 კვ.მ და N 04/1 - 118 კვ.მ საერთო სასარგებლო



ფართო. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის შენობა საჭიროებს რემონტს. მისი შემოსავლელი და პირველი სართული ნაწილობრივ ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ერთი ოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, ერთი პროექტორი და ერთი ეკრანი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას არა აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რის გამოც სკოლა საკლასო ოთახს იყენებს, როგორც სპორტულ სივრცეს, რომელიც აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთისა, ფრენბურთის, რაგბის და კალათბურთის ბურთებით, ჭადრაკის დაფებით, ბადმინტონით, ჩოგბურთის მაგიდით. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი მწვანე საფარით. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არის კოლბები მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა.

სკოლას არა აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც ნაწილობრივ აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (I სართულზე), რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლის ბალანსზე ირიცხება 35 მერხი, 21 კომპიუტერი (13 desktop და 8 laptop), 2 მრავალფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური სასკოლო დაფით. ვიზიტის პროცესში სკოლაში იყო 8 ერთეული დაფა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სასკოლო გარემო ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული, უსაფრთხო აკადემიური სივრცე. ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული რესურსები: ბიბლიოთეკა,

რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, (რომელიც მე-2 სართულზე მდებარეობს) სპორტული ოთახი და ღია სპორტული მოედნით სარგებლობა. მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში მოსწავლეებთან ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობა. სკოლას შემუშავებული გვაქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც აღწერილია საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ შესაძლებელია სასკოლო საზოგადოების მიერ საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი წარმოდგენილია, როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებით. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლას არა აქვს ბიბლიოთეკარის შტატი. დირექციის განმარტებით, სკოლის ბიბლიოთეკარის მოვალეობას სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ასრულებს დაწყებითების პედაგოგი. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებელთან გააფორმოს წერილობითი შეთანხმება, რათა ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები გაიწეროს შესაბამისი წესის საფუძველზე. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ შეიმუშავოს აღნიშნული დოკუმენტი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო დრო გამოაკრას შესაბამის ადგილზე.

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. **სკოლას მიეცა რჩევა** - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის პერიოდისათვის განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ჯეროვნად ასრულებს გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს. სკოლის შემოსასვლელ კიბეებთან მოწყობილია პანდუსი, რომელიც საჭიროებს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. პირველ სართულზე განთავსებულია შშმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული 1 სველი წერტილი. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. შენობის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რამაც შესაძლოა მომავალში, თუ კი ამის საჭიროება დაუდგება სკოლას, შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება. **დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში**

განხორციელების აქტივობები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა. (22.04.2024 წ. - 22.04.2026 წ.)
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შემოსასვლელ კიბეებთან მოწყობილი პანდუსი საჭიროებს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში შესრულება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა და მისი ეზო, რომელიც მრავალფეროვანი რეკრეაციული ზონებით გამოირჩევა ხელს უწყობს სკოლას გახდეს სოფელში ერთ-ერთ სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N55 რესურს ოთახის სურათი
2. დანართი N 56 ადაპტირებული საპირფარეშოს სურათი
3. დანართი N57 ბიბლიოთეკის სურათი
4. დანართი N58 კომპიუტერული ლაბორატორია
5. დანართი N59 ცეცხლმაქრი და ევაკუაციის გეგმა
6. დანართი N60 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი
7. დანართი N61 სპორტული მოედნის სურათი
8. დანართი N62 საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტის სურათი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამართივებულ კომუნიკაციას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ლეპტოპები. ინტერვიუებით დგინდება, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის სკოლაში არსებულ პერსონალურ კომპიუტერებს, პროექტორს და პრინტერს, ქმნიან და იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს

ციფრული განვითარების გეგმა. დოკუმენტის თანახმად, სკოლა გამოყოფს საზიარო სივრცეებს არა მხოლოდ ტექნოლოგიების ლაბორატორიაში, არამედ ბიბლიოთეკაშიც. თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის ციფრული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ ტექნოლოგიებით სარგებლობის, დაიდგას შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსი, რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეეძლებათ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ განსაზღვროს ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში ციფრულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამეა“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ელექტრონული რესურსები: ტელესკოლა, ხანის აკადემია, კოლორადოს ვორტუალური ლაბორატორია, იუთუბის ვიდეოდები, www.learningapps.org
2. დანართი N64 ხელშეკრულება „სილქნეტთან“
3. დანართი N65 ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-10 2024წ.)

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული ბრძანების თანახმად სკოლაში განისაზღვრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს

მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს eflow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, იწარმოება და ინახება ბუღალტრული დოკუმენტაცია. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგანის N 2 საჯარო სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. სკოლის მართვაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა e-flow და სხვა მატერიალური ჟურნალები, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სკოლის ელექტრონული ფოსტა Zegani2@mes.gov.ge, ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს გამართული, სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ, საგნების განაწილება, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის ბარათი, საშტატო განრიგი, სამეურვეო საბჭოს შედეგები. შესაძლებელია მოსწავლეთა მობილობისა და სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N66 დოკუმენტბრუნვის ჟურნალები
2. დანართი N67 საქმისწარმოების წესის დამტკიცება (ბრძანება N2-04 2024წ.)
3. დანართი N68 საქმისწარმოების მეთოლოგიური დოკუმენტი (ბრძანება N2-17)

4. დანართი N17 10 დეკემბრის ანგარიშები

5. დანართი N69 მინისტრთან წერილი საშტატოს შეთანხმების თაობაზე

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავდა, რომ არა აქვს ვებ-გვერდი, დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას ნამდვილად აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, რომელზეც ატვირთულია შესაბამისი მასალები. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ოფიციალურ სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძანება N 2-07. 31. 01.2024.) რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი. სკოლა საზოგადოების საჯარო ინფორმაციას წარადგენს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, იგი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლის ფბ. გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების ღონისძიებების შესახებ არის სანდო, სკოლის ფბ. გვერდს მართავს სკოლის დირექცია. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან, შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავდა, რომ არა აქვს ვებ-გვერდი, დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას ნამდვილად აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, რომელზეც ატვირთულია შესაბამისი მასალები. სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დომენით.

(<https://skolebi.emis.ge/schools/853?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E2%0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E2%0%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E2%0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%E2%0%E1%83%96%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E2%0%E2%84%962%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლას აქვს საკუთარი გვერდი სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლის მხრიდან გამოყენებულია სოციალური არხის - ფეისბუქის (Facebook) სივრცე და ის სოციალური ქსელის არხი ღია, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლების პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური

მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ. იგივე ინფორმაცია განთავსებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე, რომელსაც სკოლა მომავალში გეგმავს რომ განაახლოს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძანება N 2-07. 31. 01.2024.)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექთნის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. სკოლაში ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით 20 ნოემბრამდე მტკიცდება სკოლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, წლის ბოლომდე კი სამეურვეო საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N70 სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე

2. დანართი N71 სახელმწიფო შესყიდვების გეგმა (ბრძანება N2-50 2023წ.)

3. დანართი N72 სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლის შინაგანაწესით, „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით.“ (სკოლის დირექტორის ბრძანება - N 2-15. 07.03. 2024 წ. - თავი მე-2 - მოსწავლეთა უფლება მოვალეობები, თავი მე-3 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები. „სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N 2 საჯარო სკოლაში სსსმ-პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“ (დირექტორის ბრძანება N 2-25, 07.03. 2024 წ.) მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები , ბრძანება N 2-24, 07.03.2024 წ.

აღნიშნული დოკუმენტები ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები.სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და

წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა ხელმძღვანელობს კანონით, „ზოგადი განათლების შესახებ“ და განსაზღვრავს, რომ მოსწავლეს აქვს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ ცოდნის უფლება და ვალდებულია მოსწავლეს გააცნოს საკუთარი უფლებები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს რეგულაცია მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც გამჭვირვალე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შესაბამისად, გათვალისწინებულია მშობლის ინტერესები. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობას სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით, სადაც აქტიურად არის ჩართული კლასების დამრიგებლები. სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი სკოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისთვის (მშობელი, მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სხვ.), მათ შორის მოსწავლისთვისაც არის ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N73 უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძანება N2-15 2024წ.)
2. დანართი N74 სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (ბრძანება N2-25 2024წ.)
3. დანართი N75 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
4. დანართი N76 გასაჩივრების დოკუმენტი (ბრძანებები N2-05 2024წ. და N2-14 2024წ.)
5. დანართი N77 მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
6. დანართი N37 დამრიგებლის ოქმი N1

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი “ მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ” და განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა კი განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესს. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული წესებისა და პირობების გამჭვირვალეობას, ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/5 ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის მინიჭების წესი დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესითა სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციის წესი (მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი - სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-09. 31. 01.2024 წ. დამტკიცებული) დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამება“.

2. სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურები, რომელსაც ანახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს. მობილობის შემთხვევაში მიმღები სკოლა ითვალისწინებს გამშვები სკოლის სპეციფიკას და შესაბამისობის შემთხვევაში ადასტურებს. სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლის სკოლაში მიღებისა და შემდგომ გასავლელი ეტაპები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; სკოლაში წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის თაობაზე; კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის თაობაზე (დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით); მოსწავლეთა მობილობის თაობაზე; სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე; საფეხურის დაძლევის თაობაზე; მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე

ინფორმაციის დროული გაცნობა და გამოქვეყნება. სკოლას არ ჰქონია შემთხვევა, რომ შეექმნა განსაკუთრებული წესი პირველკლასელთა მიღებასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს მათ სასკოლო მზაობას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N78 მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის , მობილობის, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესის დამტკიცების (ბრძანებაN2-09 2024 წ.)

2. დანართი N9 შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება



1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი . (N 2-24 ბრძანება. 24. 03. 2024) კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმი. ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა პრაქტიკით ადასტუდებს, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით მოსწავლეებთან ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას გაკვეთილების დასრულების შემდეგ. ინტერვიუს დროს მოიყვანეს მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან; დაწყებითი კლასების პედაგოგები პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფთან მუშაობენ კითხვის უნარების განვითარებაზე, მათემატიკური გამოსახულებების ამოხსნის უნარებზე, მარტივი ამოცანების შედგენაზე. მოსწავლეებს უტარდებათ კონსულტაციები მხარდაჭერის მიზნით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.



4. დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს განცხადების საფუძველზე შეუძლია სემესტრული ნიშნის ამაღლების/კორექტირების მიზნით მიმართოს სკოლას, რომელიც კანონის შესაბამის ვადებში განსაზღვრავს განცხადების დაკმაყოფილების მექანიზმებს, პასუხისმგებელ პირს. შესაბამისი ბრძანების საფუძველზე მოსწავლეს უმაღლდება შეფასება. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ასევე დადგინდა, რომ სკოლა განსაკუთრებულ უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სსსმ მოსწავლეებს. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავსირებით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლა ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის საკლასო პროექტები. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო პროექტები. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, აქტიურად მუშაობს თვითმმართველობა, ფუნქციონირებს კლუბი - წიგნიერების კლუბი. ეკო კლუბი. სკოლის მისწავლეები ზედიზედ სამი წელიწადია არიან ბაღდათის მოსწავლეებს შორის გამარჯვებულები მინი ფეხბურში, აქვთ მიღებული თასები და ფასიანი საჩუქრები.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

6. სკოლას აქვს მოსწავლეთა უკუკავშირის ეფექტიანი სისტემა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ფორმით მოსწავლის აზრის დაფიქსირების, გამოხატვის პროცედურებში. სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N31 მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი (ბრძანება N2-24 2024წ.)
2. დანართი N79 ტრანზიციის გეგმა
3. დანართი N80 თვითმმართველობის ოქმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეებთან კომუნიკაცია კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერისათვის ზეპირი მოსმენებით შემოიფარგლება. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, გასულ წლებში სკოლას ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი კოლეჯ „იბერიას“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ფილიალთან, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ეწყობოდა შეხვედრები. **სკოლას მიეცა რჩევა**, გააფორმოს მემორანდუმი სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებთან, რათა გაზარდოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი განახლებულ და სანდო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს/კანონიერ წარმომადგენლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინებას გეგმავს ახალი სასწავლო წლიდან. სკოლა გამოთქვამს მზაობას, საბაზო საფეხურზე ჩაატაროს მიზნობრივი კვლევა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. გეგმავს, გაითვალისწინოს კვლევის შედეგები და მასზე დაყრდნობით განახორციელოს ეფექტური აქტივობები; გასვლითი ვიზიტები ბაღდათის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციებში, პროფესიულ სასწავლებლებში.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N88 სერთიფიკატი პროფესიული და კარიერული დაგეგმვის სწავლების უფლების შესახებ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

